ავტობიოგრაფია

მე, ნინო გალუსტაშვილი, დავიბადე, ქ. მცხეთაში, 1992 წლის 30 ნოემბერს.

1998 წელს შევედი ქ, მცხეთის რაიონის, სოფელი მუხრანის პირველ საჯარო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2010 წელს.

2010 წელს ჩავირიცხე თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2014 წელს და მომენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2015 წელს სწავლა განვაგრძე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე და 2017 წელს მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში, 2016 წლის მაისიდან - ივლისამდე სტაჟირება გავიარე მცხეთის რაიონულ სასამართლოში. 2016 წლის 4 ივლისიდან - 2016 წლის 5 ოქტომბრამდე ვასრულებდი მცხეთის რაიონულ სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის მოვალეობას. 2016 წლის 17 ოქტომბრიდან 2016 წლის 26 ოქტომბრამდე და 2016 წლის 18 ნოემბრიდან - 2017 წლის 14 იანვრამდე ვმუშაობდი მცხეთის რაიონული სასამართლოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მაგისტრი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნის შემცვლელად.

2018 წლის 9 თებერვალს დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის სხდომის მდივნად.

2020 წლის 20 იანვრიდან -2023 წლის 11 ივლისამდე მეკავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობა.

2023 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაცო გამოცდა.

სასამართლო სისტემაში მუშაობის პერიოდში ვესწრებოდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს.

2023-2024 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსი.

ნინო გალუსტაშვილი

11. 11.2024 წელი